საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №99/ნ

2024 წლის 7 ივნისი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ქართლის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის №78/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ქართლის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 სექტემბრის №78/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 14/09/2021, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.018078) დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ქართლის“ წესდების“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კოლეჯის მისამართია: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გიორგი ამილახვარი**
მინისტრი